899.962.1
ბ-973

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე ალექსანდრეს ასული ხუციშვილი

ბიბლიური ნაკადი გიორგი მცირის «გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების» სახისმეტყველებაში

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლაურა გრიგოლაშვილი

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ სირაძე

ოფიციალური ოპონენტები: —ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ კიკნაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ელისო კალანდარიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია — შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998წ.-ის 4.XII.13 საათზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის საბჭოს P.10.01.01.C.№2 სხდომაზე

380028, თბილისი, I. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 22/10

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
პროფესორი ნ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ათონის ლიტერატურული სკოლა, გამგრძელებელი ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული ტრადიციებისა, სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ქართული კულტურის ისტორიაში. ამ სკოლის უმთავრეს დამსახურებად თვლიან იმას, რომ „მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში", თავის მხრივ კი „ეგი გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც უხვად მოდიოდა ჩვენში ბიზანტიური კულტურის ნაკადი" (კ.კეკელიძე). ორმხრივი დანიშნულება ამ სკოლისა განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის ათონელ მოღვაწეთა მემკვიდრეობის შესწავლას. მთაწმიდელთა მრავალმხრივ მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ მთარგმნელობით საქმიანობას, მაგრამ არანაკლები ღირებულება აქვს აქ შექმნილ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, ესენია: გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი" და გიორგი მცირის „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდლისაჲ". ჩვენი შესწავლის ობიექტი სწორედ ეს უკანასკნელი თხზულებაა.

ჰაგიოგრაფიული მწერლობა მთლიანად ეყრდნობა საღვთო წიგნებს, შესაბამისად, ჰაგიოგრაფიის მთავარი გამომსახველობითი ხერხი სახე-სიმბოლოა. ჰაგიოგრაფი ამ გზით ახერხებს სათქმელის განზოგადებას, გმირის სახის გამოკვეთას, მკითხველთან საუბარს. ამიტომ ამა თუ იმ ძეგლის ბიბლიურ სახეობრივ სისტემაზე დაფუძნებული სახისმეტყველებითი შინაარსის გახსნა ტექსტის სიღრმისეული ცოდნის აუცილებელი პირობაა. ამდენად გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხორების" სახისმეტყველებაში ბიბლიურ სახე-სიმბოლოთა თუ ბიბლიურ პერსონაჟთა ფუნქციის გარკვევა არსებითი და აქტუალური პრობლემაა.

პრობლემის შესწავლის დონე. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხორების" შესწავლას ჩვენში საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. XIX საუკუნემდე ქართველი მწიგნობრები ძირითადად საგალობლებს ქმნიან გიორგი მთაწმიდელსა თუ მისი ბიოგრაფიის ავტორზე — გიორგი მცირეზე; XIX საუკუნეში კი ამ ძეგლს უკვე მკვლევრის თვალით დაუწყეს ყურება. პირველად ქართველ სწავლულთაგან ამ თხზულებით თეიმურაზ ბაგრატიონი დაინტერესდა. მაგრამ იგი ფრაგმენტულად ეხება მას. შედარებით მეტ ინტერესს ამ ძეგლის მიმართ იჩენს მარი ბროსე თავის ნაშრომში „საქართველოს ისტორია". თხზულების ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს ეხებიან მკვლევრები: დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, თ. ჟორდანია, მ.ჯანაშვილი, კ. კეკლიძე. ივ. ჯავახიშვილი ვრცლად საუბრობს გიორგი მთაწმიდლის რეფორმატორულ მოღვაწეობაზე.

— 1648 —